განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ინჟინერიაში
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2018 წლის 18 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2018 წლის 21 ნოემბერი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი:	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინჟინერია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის დოქტორი 04
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. ფილიპ ბუილარდი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, ბელგია
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლექსო თორიაშვილი (სტუდემტი ექსპერტი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ანგარიშის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) შესაბამისად. პროგრამა შედგება 180 კრედიტისაგან: 45 კრედიტი გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტის, ხოლო 135 კრედიტი კვლევითი კომპონენტისათვის. პროგრამა სთავაზობს 4 განსხვავებულ მიმართულებას: "აგროინჟინერიაში", "ავტომატიზაციასა და მართვის სისტემებში", "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში" და "მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში". პროგრამის მიზნებია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრებისათვის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ზემოაღნიშნულ დარგებში, რომლებიც შექმნიან ახალ ცოდნასა და ხელს შეუწყობენ მის დანერგვას. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა და შინაარსი რელავანტურია.

პასუხისმგებლობის თავიდან აცილება: მიუხედავად ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სადოქტორო პროგრამას ჯერ არა ჰყავს კურსდამთავრებული (პირველი აკრედიტაცია მიეცა 2013 წელს და დაიწყო პროგრამა 2014 წელს). ვინაიდან ნებისმიერი აკრედიტაციის პროცესი ეყრდნობა მტკიცებულებებს, ექსპერტთა ჯგუფს სურს ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ მათი დასკვნები საჭიროებენ შემდგომ დადასტურებას კურსდამთავრებულთა გამოცდილებისა და გამოხმაურების მეშვეობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებია ადგილზე ვიზიტი 2018 წლის 18 სექტემბერს, რომლის დროსაც ჩაატარა გასაუბრება სხვადასხვა ჯგუფებთან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების გუნდთან,
- პროგრამისა და მიმართულებების ხელმძღვანელებთან,
- პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან,
- სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებთან,
- სტუდენტებთან (2),
- დამსაქმებლებთან.

ადგილზე ვიზიტი, ასევე, მოიცავდა ობიექტებისა და ლაბორატორიების აღჭურვილობის მიმოხილვას.

- **სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტებს პროგრამის მიზნების, სტუდენტთა მოსწრების, რესურსებისა და სწავლების ორგანიზების საკითხებში. ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

- **რეკომენდაციების შეჯამება**

- ოთხივე სამეცნიერო მიმართულებისათვის პროგრამის დონეზე მოხდეს სწავლის შედეგების უნიფიცირება.
- უკეტესად გადანაწილდეს და სისტემატიზირება მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დიზაინისა და განხორციელების პოლიტიკისა და შესაბამისად, წარიმართოს პროგრამის მომზადება/მიმოხილვა.
- უნივერსიტეტი საჭიროებს ხარისხის პროცედურებში გარე შეფასების სისტემატურ ინტეგრირებას, მათ შორის შესაძლო რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებას.
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა საჭიროებს სისტემატურ განხორციელებას, ყველა დაინტერესებული მხარის ოფიციალური ჩართულობით.

- **რჩევების შეჯამება**

- პროგრამის აღწერილობა ძალიან ფართოა. იგი იქნებოდა უფრო მკაფიო, თუ საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდიდა დეტალებს კვლევით თემებსა და ექსპერტულ ცოდნაზე.
- შეტანილ იქნეს სადოქტორო სწავლებაში ინგლისური ენის კურსი და/ან კურსები ინგლისურ ენაზე.
- გადაიხედოს სადოქტორო სემინარების თანამიმდევრობა და დასრულდეს მესამე სემინარი მეოთხე სემესტრისათვის.
- პროგრამის სწავლის შედეგებს უკეთ შეუძლიათ კურსების სწავლის შედეგების ასახვა.
- თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდები უკეთ უნდა იქნეს გამოყენებული კურსით "სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში"
- შემუშავდეს ინსტიტუციური აკადემიური გადაცდომის პოლიტიკა (პლაგიარიზმის პრევენციის ჩათვლით).
- დამატებითი გამოცდილებისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის შესათავაზებლად უფრო მეტად განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა.
- გაფართოვდეს გამოცდილება ინჟინერიაში ამ დარგის კვალიფიციური დოქტორების რეკრუტირების დაგეგმვით.
- დაიგეგმოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის (ასისტენტ და ასოცირებულ პროფესორთა) ტრენინგი, რათა ისინი გახდნენ შემდეგი თაობის დოქტორანტების ხელმძღვანელები.
- გაიზარდოს მოწვეული საერთაშორისო მკვლევარების ან ინდუსტრიული პერტნიორების მიერ ჩატარებული ლექციების რაოდენობა.
- შემუშავდეს და განხორციელდეს პერსონალის ყოველწლიური სისტემატური შეფასება.
- პერსონალის განვითარებისათვის შემუშავდეს ადამიანური რესურსების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა თითოეულ აკადემიურ პერსონალს მაღალი სტანდარტით მუდმივი ტრენინგის შესაძლებლობით.
- სადოქტორო პროგრამის მიერ შეთავაზებული ყველა სამეცნიერო სფეროს მოსაცავად გაფართოვდეს საერთაშორისო თანამშრომლობა.
- ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების გაძლიერების საფუძველზე უნივერსიტეტში განვითარდეს ხარისხის კულტურა.
- პროგრამის ხარისხისა და სავარაუდო გაუმჯობესების თაობაზე მიიღეთ ოფიციალური რეკომენდაციები გარე ექსპერტებისაგან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - კურსი "სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი".
  - უნივერსიტეტი ატარებს ვორქშოპს დოქტორანტებისათვის უაღრესად კვალიფიციური ტექნიკური დახმარებით.
  - საერთაშორისო თანამშრომლობა დოქტორანტებისათვის საჭირო აღჭურვილობისადმი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

- **უკვე აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამის მიზნები განიმარტა და შეესაბამება დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინს.
  - პროგრამის სწავლის შედეგები საგულდაგულოდ შემუშავდა და შეესატყვისება პროგრამის მიზნებს.
  - დაშვების წინაპირობები დადგინდა და სათანადოდაა გამოყენებული.
  - პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, ხოლო შინაარსი - რელევანტური.
  - კურსები სწორადაა შედგენილი და შესაბამისად მიწოდებული.
  - სწავლებისა და სწავლის მეთოდები არის სტუდენტზე ორიენტირებული და დოქტორანტური დონის რელევანტური.
  - შემუშავებული შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა.
  - დოქტორანტებს შეთავაზებული აქვთ ბევრი კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.
  - შეკრებილია კვალიფიციურ ხელმძღვანელთა გუნდი.
  - პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.
  - ხორციელდება სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება.
  - დოქტორანტებისათვის ტარდება ძალიან კარგი ვორქშოპი.
  - უახლესი აღჭურვილობა შეძენილი ან ჩაშენებულია ზოგიერთ ადგილებში.
  - პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები მობილიზებულია.
  - ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შემუშავებულია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (საუ) სადოქტორო პროგრამა "ინჟინერიაში". კურსდამთავრებულებს ენიჭიბათ ინჟინერიის დოქტორის კვალიფიკაცია (უმაღლესი განათლების მესამე დონე). უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამა სთავაზობს 4 სხვადასხვა მიმართულებას: "აგროინჟინერიაში", "ავტომატიზაციასა და მართვის სისტემებში", "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში" და "მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში". პროგრამის მიზნებია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრებისათვის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ზემოაღნიშნულ დარგებში, რომლებიც შექმნიან ახალ ცოდნასა და ხელს შეუწყობენ მის დანერგვას. პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს კურსდამთავრებულთა ცოდნას, უნარებსა და შესაძლო საქმიანობის სფეროებს. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების განხორციელება როგორც უმაღლეს განათლებაში, ისე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და მათ სტრუქტურულ ერთეულებში, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს კვალიფიციურ მკვლევართა, ექსპერტთა და აკადემიური პერსონალის დეფიციტს საქართველოში, რაც ამ მიმართულებებით ხდის პროგრამას მის მიზნებთან ძალიან რელევანტურს და შესაბამისს. სადოქტორო პროგრამის მიზანი იძლევა მკაფიო ინფორმაციას მის შინაარსზე და ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. თუმცა, ინფორმაცია საუ-ს მიერ შეთავაზებული სპეციფიური სამეცნიერო თემების შესახებ არაა დეტალური. პროგრამის აღწერილობა გახდებოდა უფრო მკაფიო, თუ ეს იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი. ვებ-საიტის, ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების და დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის მიზნები რეალური და მიღწევადია. უსდ-ს უკვე დამყარებული აქვს გარკვეული საერთაშორისო თანამშრომლობა და იგი მუშაობს პროგრამის შემდგომ ინტერნაციონალიზაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები იდეალურად შეესაბამება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისიას "საქმიანობა აწარმოოს რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით. ესენია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგებზე (ახალ ცოდნაზე) დაყრდნობით სასწავლო საქმიანობა;

უნივერსიტეტისთვის საუკეთესო ინფრასტრუქტურის შექმნა და საცდელ-საწარმოო საქმიანობა; უნივერსიტეტის სტრატეგია და საქმიანობის მენეჯმენტი".
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში o უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge. o თვითშეფასების ანგარიში. o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: პროგრამის აღწერილობა ძალიან ფართოა. იგი იქნებოდა უფრო მკაფიო, თუ საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდიდა დეტალებს კვლევით თემებსა და ექსპერტულ ცოდნაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის მიზნები განიმარტა და შეესაბამება დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინს.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, დანართებისა და ადგილზე ვიზიტისას მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია მოკლედ, ისინი მეტწილად აღწერენ ცოდნას, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასასრულისათვის. ისინი გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტურია და შეესაბამება სადოქტორო დონეს. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები გაყოფილია სამეცნიერო მიმართულების მიხედვით, სადაც საკმაოდ მსგავსი მოსალოდნელი შედეგები წარმოდგენილია განსხვავებული ფორმულირებებით. ეს იწვევს გარკვეულ დაბნეულობას და, რადგან დოქტორანტურა უნიკალურია, უფრო რელევანტური იქნებოდა წარმოჩენილიყო სწავლის შედეგების ერთიანი ვერსია 4 მიმართულებით, შემდეგ კი კონკრეტული შედეგების განსაზღვრა. აღნიშნული საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს უკეთესად გაითვალისწინოს 2013 წელს გაცემული რეკომენდაციები. იმისათვის რომ წარმოადგინოს სწავლის შედეგები თითოეული ქვედარგისათვის. ამავდროულად მოახდინოს ინტეგრირება და კოორდინირება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგების თანახმად, ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყო პროგრამის მომზადებაში არაფორმალურად, გარდა კურსდამთავრებულთა კურსის, რადგან კურსდამთავრებულები პროგრამას ჯერ არა ჰყავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა ინჟინერინგში.
- უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
- APEX.

რეკომენდაციები:

არცერთი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ოთხივე სამეცნიერო მიმართულებისათვის პროგრამის დონეზე მოხდეს სწავლის შედეგების უნიფიცირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის სწავლის შედეგები საგულდაგულოდ შემუშავდა და შეესატყვისება პროგრამის მიზნებს.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინჟინერიის სადოქტორო პროგარმაზე დაშვება პირი, რომელიც ფლობს მაგისტრის ხარისხს ან მაგისტრის დონის ეკვივალენტურ კვალიფიკაციას. ეს შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, როგორც ეს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის რეგულაციებითაა განსაზღვრული. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა, მიღების წესები და გამოცდების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე. ამ პროგრამით დაინტერესებულ სტუდენტებს და სხვა პირებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია მიღების წინაპირობების თაობაზე. ყველა დოკუმენტის შემოწმების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ინჟინერიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები შეესაბამება კანონმდებლობას და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში. o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს. o ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge/ge/node/803
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) დაშვების წინაპირობები დადგინდა და სათანადოდაა გამოყენებული.

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) შესაბამისად . პროგრამა შედგება 180 კრედიტისაგან: 45 კრედიტი გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტის, ხოლო 135 კრედიტი კვლევითი კომპონენტისათვის. კურსები და კომპონენტების წინაპირობები სტრუქტურირებულია ლოგიკურად, მესამე სადოქტორო სემინატრის გამოკლებით (იხილეთ შემდეგში).

პროგრამის საერთაშორისო პერსპექტივების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიღებისას ინგლისური ენის ცოდნის დონე (B1 ენების საერთო ევროპული ჩარჩოს დოკუმენტში) არაა საკმარისი მიზნისათვის. იგი შესაძლოა გაუმჯობესდეს დოქტორანტურაში დამატებითი ენის კურსების და/ან ზოგიერთი კურსის ინგლისურ ენაზე შეთავაზებით.

სპეციალიზებული კურსები ჩართულია სადოქტორო სემინარებში (15 კრედიტი), ხოლო თემის შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ მის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით. ეს შესაბამისია მორგებულ სადოქტორო სწავლებასთან. მიუხედავად ამისა, ეს არ აძლევს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობას, რომ შეამოწმოს უზრუნველყოფს თუ არა სპეციალიზებული კურსის კრედიტები და შინაარსი სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან ინტერვიუების მსვლელობაში შენიშნა, რომ არსებული გამოცდილებით მათ არ შექმნიათ სირთულე სწავლის შედეგების მიღწევაში. უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად "სემინარის თემა შესაძლებელია იყოს სადისერტაციო ნაშრომიდან და ეხებოდეს დარგისათვის მნიშვნელოვან საკითხს". უმჯობესი იქნებოდა თუკი მესამე სემინარი ჩატარდებოდა მე-5 სემესტრამდე, ვინაიდან მე-5 და მე-6 სემესტრები

ემსახურება დისერტაციის ზოგადი ნაწილების მომზადებას, შედეგების გადამოწმებას და საბოლოო პრეზენტაციის მომზადებას. ამ შემთხვევაში, მესამე სემინარში მიღწეული შედეგები ეფექტურად შევიდოდა საბოლოო სწავლის შედეგებში. სხვაგვარად, მესამე სემინარი ემსახურება მხოლოდ ცოდნის გაღრმავების ფუნქციას და მისი გამოყენება სტუდენტის მიერ სადისერტაციო კვლევის გასაუმჯობესებლად ვერ იქნება გამოყენებული.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თვითშეფასების 3.1 პუნქტის თანახმად უნივერსიტეტს შემუშავებული უნდა ჰქონოდა მექანიზმი პროგრამის დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავებისა. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი მტკიცებულება აღნიშნული მექანიზმის გამართულად ფუნქციონირებისა. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია უკეთ გადანაწილებულიყო, განსაზღვრული და სისტემური გამხდარიყო აღნიშნული მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
- ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge/ge/node/803

რეკომენდაციები:

გაფართოვდეს და სისტემატიზაცია მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დიზაინისა და განხორციელების პოლიტიკა და შესაბამისად, წარიმართოს პროგრამის მომზადება/მიმოხილვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეტანილ იქნეს სადოქტორო სწავლებაში ინგლისური ენის კურსი და/ან კურსები ინგლისურ ენაზე. გადაიხედოს სადოქტორო სემინარების თანამიმდევრობა და დასრულდეს მესამე სემინარი მეოთხე სემესტრისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამისსტრუქტურა ლოგიკურია, ხოლო შინაარსი - რელევანტური.

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძირითად კურსებში მითითებული სასწავლო მასალები და წყაროები,როგორებიცაა: "აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის" - 6 კრედიტი; "სადისერტაციო კვლევის მომზადება" - 6 კრედიტი; "კვლევის მეთოდოლოგია" - 8 კრედიტი; "სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი" - 6 კრედიტი; "სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში" - 4 კრედიტი, რელევანტურია სწავლის შედეგებისა და ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გამოყოს მეტად საინტერესოკურსი "სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი", რომელიც უაღრესად რელევანტურია სტუდენტის პერსონალური განვითარებისათვის კვლევის მენეჯმენტში. კურსი "სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში" რელევანტურია სტუდენტებში სწავლების უნარის განსავითარებლად, თუმცა შესაბამისი სწავლის შედეგები უნდა იყოს ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში. გარდა ამისა, კურსი ამჟამად ფოკუსირებულია საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ასპექტებზე და უმჯობესი იქნებოდა, რომ მოიცავდეს თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდების ღრმა გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში
- უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- კურსის სილაბუსები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: პროგრამის სწავლის შედეგებს უკეთ შეუძლიათ კურსების სწავლის შედეგების ასახვა. თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდები უკეთ უნდა იქნეს გამოყენებული კურსით "სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში"
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): კურსი "სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი".
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) კურსები სწორადაა შედგენილი და შესაბამისად მიწოდებული.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში ხელს უწყობს დარგის შესაბამისი ინოვაციური კვლევის შემუშავებასა და დაგეგმვას. სტუდენტებს შეუძლიათ კვლევის განხორციელება თანამედროვე ლაბორატორიებში მაღალკვალიფიციური პროფესორების ხელმძღვანელობის ქვეშ. სადოქტორო სკოლა თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც იძლევა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების შესაძლებლობას. ინტერვიუების მსვლელობაში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი კვლევის განხორციელებისას, სამეცნიერო თემებზე მუშაობისას სარგებლობენ უნივერსიტეტის რესურსებით და ესწრებიან სამეცნიერო ფორუმებს, კონფერენციებსა და სემინარებს. უნივერსიტეტი, ასევე, იწვევს

საერთაშორისო ექსპერტებს სემინარების ჩასატარებლად, რომლებზეც სტუდენტები იღებენ მათგან გამოცდილებას. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ეხმარებიან კვლევებს სხვადასხვა დონეებზე, ზოგი მათგანი იმედოვნებს, რომ დაასაქმებენ ზოგ კურსდამთავრებულს მომავალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში o უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) კურსები სწორადაა შედგენილი და შესაბამისად მიწოდებული.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული კურსის სილაბუსი აღწერს სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ეს უზრუნველყოფს მათ მიღწევას დოქტორანტურის სათანადო დონეზე. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების მსვლელობაში ომსჯელეს სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობაზე ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებს, რომლებიც შედეგების მისაღწევად საჭიროებენ დამატებით კომპეტენციებს სხვადასხვა სფეროებში, ეძლევათ კურსებზე დასწრების შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას, აძლევენ სტუდენტებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას რათა დაეხმარონ მათ სასწავლო კომპონენტის დასრულებაში, რაც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში
- უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

არცერთი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არცერთი.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სწავლებისა და სწავლის მეთოდები არიან სტუდენტზე ორიენტირებულნი და დოქტორანტური დონის რელევანტური.

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება წარმოებს უსდ-ს მარეგულირებელი დოკუმენტის "გამოცდების ჩატარების წესი" შესაბამისად. ამ დოკუმენტით დადგენილი წესები გამოიყენება ყველა სტუდენტისათვის, არის გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი. პროგრამა მოიცავს 8 სავალდებულო კურსს. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება მატებითი და შემაჯამებელი მეთოდებით, რაც რელევანტურია. მიზნები და შეფასების მეთოდები წარმოდგენილია სილაბუსებში.

საბოლოო სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცედურები მოცემულია სადოქტორო სკოლის რეგულაციებში. ამ რეგულაციების თანახმად, სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთხელ, ფინალური პრეზენტაციის ბოლოს. ფინალური შეფასების პროცედურა საჯაროა და აღიბეჭდება ვიდეოზე. გადაწყვეტილება ფიქსირდება ანგარიშში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი. სადოქტორო დისერტაციის შეფასების პროცედურები უზრუნველყოფენ სტუდენტის მიღწევების სათანადო პრეზენტაციას და საბოლოო შედეგებს. დოკუმენტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის პერსონალი იყენებს შეფასების რელევანტურ მეთოდს.

სასწავლო კომპონენტი და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები საჯაროა და გამოქვეუნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გასაჩივრების პროცედურა, ასევე, შემუშავებულია და აღწერილია ვებ-გვერდზე. დოქტორანტებს ეძლევათ გამოხმაურება მიღწეული შედეგების შეფასების, ან თუ საჭიროა - გაუმჯობესების თაობაზე. ამის კოორდინაციას ახდენს სადოქტორო სკოლის პერსონალი. ამის გამო, ეს შეფასება აბსოლუტურად გამჭვირვალეა და შესაბამისი კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში.
- უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge.
- თვითშეფასების ანგარიში

o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შემუშავებული შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა დამხმარე მომსახურებები
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს უპირველეს ყოვლისა თავისი ხელმძღვანელებისაგან. მათ, ასევე, რეგულარულად მოეთხოვებათ, რომ წარმოადგინონ მიღწეული პროგრესი სადოქტორო სემინარებზე, რაც მათ აძლევს გამოხმაურების მიღების შესაძლებლობას. 45 ECTS კრედიტიანი პროგრამა, ასევე, აძლევს მათ შესაძლებლობას რომ განივითარონ მონათესავე კომპეტენციები და მიიღონ მათი კვლევის გაუმჯობესებისათვის დახმარება. პრაგრამაში სტუდენტთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელებს შეუძლიათ შესთავაზონ მათ "ღია კარის" პოლიტიკა, როდესაც სტუდენტებს შეუძლიათ მათთვის მიმართვა ნებისმიერ საჭირო დროს. თუ სტუდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება მომავალში, ამ პოლიტიკას შესაძლოა დასჭირდეს მონიტორინგი და გადაფასება. დოქტორანტებს სწავლების პერიოდში აცნობენ ეთიკის და სათანადო აკადემიური ქმედების (პლაგიარიზმის პრევენციის) ძალიან მნიშვნელოვან ასპექტებს. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტს ჯერ კიდევ არ შეუქმნია მკაფიო აკადემიური გადაცდომის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავდა სტუდენტთა და პერსონალის მხრიდან მოლოდინების დონეს. საკარიერო რჩევებში პროგრამა ეყრდნობა უნივერსიტეტის ცენტრალურ სამსახურებს (კარიერული წინსვლისა და დასაქმების ოფისი), რომელსაც მომავალში დასჭირდება სპეციფიკური გამოცდილება ამ პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არცერთი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: შემუშავდეს ინსტიტუციური აკადემიური გადაცდომის პოლიტიკა (პლაგიარიზმის პრევენციის ჩათვლით).
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) დოქტორანტებს შეთავაზებული აქვთ უამრავი კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი დოქტორანტებს პირველი სემესტრის განმავლობაში შესაძლებლობა ეძლევათ, რომ შეცვალონ თავდაპირველი კვლევითი თემა და მოიძიონ საუკეთესო ხელმძღვანელი. ეს პროცედურა მეტად პოზიტიურია იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ საუკეთესო სტუდენტები ხვდებიან პროგრამაში. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ბევრი კვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური პერსონალის CV-ს. გარდა ამისა, თუ საკმარისი გამოცდილება ვერ იქნება ადგილობრივად მოძიებული, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ დამატებითი ხელმძღვანელი საერთაშორისო პარტნიორებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში. o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაცები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): დამატებითი გამოცდილების ან აღჭურვილობისადმი ხელმისაწვდომობის შესათავაზებლად უფრო მეტად განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეკრებილია კვალიფიციურ ხელმძღვანელთა გუნდი.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებსაც აქვთ აუცილებელი კომპეტენციები სტუდენტების დასახმარებლად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშფასების ანგარიშის თანახმად პროგრამაში ჩართულია 15 პროფესორი, 13 აფილირებული პროფესორი და 22 მეცნიერი. ოფიციალურად სხვა აკადემიური პერსონალი არაა ჩართული პროგრამაში. ეს მონაცემები ვერ იქნა დადასტურებული ინტერვიუების პროცესში, თუმცა ყველა შესაბამისი CV იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილ CV-ზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალ კვალიფიკაციაში. ყველა მათგანი აქტიური მკვლევარია, როგორც ამას ადასტურებს მათი ბოლოდროინდელი პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. მათ ნამდვილად აქვთ სადოქტორო პროგრამის გამხორციელების გამოცდილება. უნივერსიტეტში ინჟინერიის ბოლოდროინდელი განვითარების გათვალისწინების მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ ინჟინერიაში პროფესიონალიზმი უნდა იქნეს გაფართოებული. ამ მომენტისათვის, პროგრამა ჯერ კიდევ ეყრდნობა უამრავ ბიოლოგს, ზოოლოგს, ფიზიკოსს და სხვ. ასევე, აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამაში არაა ოფიციალურად ჩართული არც ერთი ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი. ეს აღძრავს სადოქტორო ნაშრომების ახალი თაობის ხელმძღვანელების ტრენინგის საკითხს.

ინტერვიუები მსვლელობაში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ზოგიერთი მოწვეული ლექტორი ორგანიზებულია ან საერთაშორისო პარტნიორების მიერ, რომლებიც სარგებელს იღებენ მიმდინარე

კვლევითი პროექტიდან, ან ადგილობრივი ინდუსტრიული პარტნიორების მიერ. ეს ძალიან პოზიტიურია და ექსპერტთა ჯგუფი მიუწოდებს უნივერსიტეტს, რომ გააფართოოს ეს ინიციატივა. ამჟამად, გამომდინარე სტუდენტთა მცირე რაოდენობიდან, ეს პროგრამა არ განიცდის რაიმე პრობლემას დატვირთვის ან პერსონალი/სტუდენტის თანაფარდობის კუთხით. თუ სტუდენტთა რაოდენობა დარჩება შეზღუდული, როგორც მითითებულ იქნა ინტერვიუების პროცესში, პროგრამა აშკარად მდგრადი იქნება, თუ მისი მიმზიდველობა გაუმჯობესდება. პროგრამას, სხვა ორ სადოქტორო პროგრამასთან ერთად (სოფლის მურნეობისა და ბუნებრივი მეცნიერებების), წარმართავს სადოქტორო სკოლა. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა პროგრამა იმართება იგივე რეგულაციებით და აკმაყოფილებს იგივე სტანდარტებს. ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა სთავაზობს 4 მიმართულებას. თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს პროფესორი, რომელიც ექვემდებარება სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს. როგორც უკვე აღინიშნა, თვითშეფასების ანგარიშმა გამოავლინა ამ 4 მიმართულებას შორის კოორდინაციის დეფიციტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გაფართოვდეს გამოცდილება ინჟინერიაში ამ დარგის კვალიფიციური დოქტორების რეკრუტირების დაგეგმვით. დაიგეგმოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის (ასისტენტ და ასოცირებულ პროფესორთა) ტრენინგი, რათა ისინი გახდნენ შემდეგი თაობის დოქტორანტების ხელმძღვანელები. გაიზარდოს მოწვეული საერთაშორისო მკვლევარების ან ინდუსტრიული პერტნიორების მიერ ჩატარებული ლექციების რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რეგულარულ შეფასებას. ინტერვიუების მსვლელობაში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს შეფასება მეტწილად ეყრდნობა სტუდენტთა გამოკითხვას და არაფორმალურ მსჯელობას მენეჯმენტთან (დეკანთან). ამგვარად, ეს შეფასება არც სისტემატურია და არც დოკუმენტირებული.

პროფესიული განვითარების კუთხით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ აკადემიური პერსონალი შეიძლება ჩართულ იქნეს კვლევით პროექტებში და დაესწროს სამეცნიერო კონფერენციებსა და შეხვედრებს. რაიმე სხვა ტრენინგის მტკიცებულება ვერ იქნა მოძიებული. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ არსებული სიტუაცია ეყრდნობა პირად ინიციატივას. ყველაზე აქტიურ მკვლევარებს ფინანსირების მოზიდვით ექნებათ ადვილი ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ექსპოზიციასთან, მაშინ, როცა სხვები სავარაუდოდ ისარგებლებენ ამით საკუთარი აქტივობების განსავითარებლად, რადგან არ არიან სისტემატურად ხელშეწყობილნი უნივერსიტეტის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიაგნო მკაფიო მტკიცებულებას, რომ ადმინისტრაცია ეხმარება მათ ეროვნული ან საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოპოვებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

- ადამიანური რესურსების პოლიტიკა ვერ იქნა წარმოდგენილი.

რეკომენდაციები:

არცერთი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შემუშავდეს და განხორციელდეს პერსონალის სისტემატური ყოველწლიური შეფასება. პერსონალის განვითარებისათვის შემუშავდეს ადამიანური რესურსების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა თითოეულ აკადემიურ პერსონალს მაღალი სტანდარტით მუდმივი ტრენინგის შესაძლებლობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

ხორციელდება სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება.

შეფასება

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის არსებული ინფრასტრუქტურა მეტწილად რელევანტურია სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად და გამიზნული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საბიბლიოთეკო რესურსები არაა დეტალურად აღწერილი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა დატესტა ონ-ლაინ მონაცემთა ბაზებზე წვდომის სიმარტივე, რაც წარმოადგენს ინჟინერიის კვლევის ძირითად ინსტრუმენტს.

არც აღჭურვილობა იყო დეტალურად წარმოდგენილი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ადგილზე ენახა ობიექტი. უნივერსიტეტი ინარჩუნებს თავისი სტუდენტებისათვის შეთავაზებული პრაქტიკული სწავლების ძალიან მაღალ სტანდარტს. კერძოდ, სადოქტორო პროგრამისათვის, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ბოლოდროინდელ ინვესტიცია უახლეს აღჭურვილობაში (3D პრინტერი, პროგრამირების კომპიუტერული რიცხვითი კონტროლის მანქანები და სხვ.). თუმცა, ასეთი აღჭურვილობა არაა ხელმისაწვდომი სადოქტორო პროგრამის მიერ შეთავაზებულ ყველა სამეცნიერო სფეროსათვის. ეს ეხება "სამშენებლო" სფეროს, სადაც უახლესი ლაბორატორია ხელმისაწვდომია მასალების, სტრუქტურების, ნიადაგის და სამშენებლო ფიზიკის გამოსაცდელად. ექსპერტთა ჯგუფზე, ასევე, შთაბეჭდილება მოახდინა ვორქშოპის დონემ და მოქნილობამ, სადაც დოქტორანტებს შეუძლიათ მოიძიონ საჭირო რესურსები ნაშრომის კონკრეტული ნაწილების მოსამზადებლად. ინერვიუების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, გამოარკვია, რომ საჭიროებისას დოქტორანტებს აქვთ თავიანთი ექსპერიმენტების საზღვარგარეთ ჩატარების შესაძლებლობა. სტრატეგიული თანამშრომლობა უკვე შეთანხმებულია Jülich Forschundszentrum-თან (გერმანიაში). სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ვერ ფარავს დოქტორანტურით გათვალისწინებულ ყველა კვლევით სფეროს და ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს უნივერსიტეტს, რომ გააფართოვოს მათი საერთაშორისო პარტნიორობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
- ობიექტების მონახულება ადგილზე.

რეკომენდაციები:

არცერთი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სადოქტორო პროგრამის მიერ შეთავაზებული ყველა სამეცნიერო სფეროს მოსაცავად გაფართოვდეს საერთაშორისო თანამშრომლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უნივერსიტეტი ატარებს ვორქშოპს დოქტორანტებისათვის უაღრესად კვალიფიციური ტექნიკური დახმარებით.
საერთაშორისო თანამშრომლობა, დოქტორანტებისათვის საჭირო აღჭურვილობისადმი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

დოქტორანტებისათვის ტარდება ძალიან კარგი ვორქშოპი. უახლესი აღჭურვილობა შეძენილი ან ჩაშენებულია ზოგიერთ ადგილებში.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი არ ადგენს ბიუჯეტს პროგრამების მიხედვით. ამიტომ, ბიუჯეტი ვერ იქნა დეზუსტებული. თუმცა, მოცემულ პროგრამას აქვს ზღვრული ხარჯები რადგან სტუდენტთა რაოდენობა მცირეა (10-ზე ნაკლები) და ყველა ჩართული პერსონალი ასევე ჩართულია სხვა საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამებში. გარდა ამისა, თითოეულ დოქტორანტს ეძლევა დახმარება კვლევითი გრანტის სახით, რომელიც მოიცავს სამუშაო ხარჯებს. შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი აშკარად შესრულებადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში. o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არცერთი.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები მობილიზებულია.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს არისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური სისტემა. ეს პოლიტიკა მოიცავს სტუდენტთა სისტემატურ გამოკითხვას, რომელიც ტარდება სემესტრულად SurveyMonkey პლატფორმის გამოყენებით. რაოდენობრივი მონაცემები შესაძლოა შევსებულ იქნეს ხარისხობრივი კვლევით, მათ შორის ინტერვიუებითა და ფოკუს ჯგუფებით. შედეგები ანალიზდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. ამ პროცედურა სვარაუდოდ ემსახურება PDCA-ს (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე), რომელიც გახდა სტანდარტული უმაღლეს განათლებაში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიაგნო იმის მტკიცებულებას, რომ ეს ციკლი უკვე მუშაობს. მონაცემთა ანალიზის ანგარიშები და მკაფიო სამოქმედო გეგმები შესაძლოა მოტანილ იქნეს მტკიცებულებად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეტად მნიშვნელოვანი იარაღია თვითშეფასების ანგარიშების შედგენა. ამ კუთხით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ ამ შეფასებისათვის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში არ იმსახურებს სათანადო ყურადღებას. ბევრი სექცია გამოტოვებულია, ან არ იძლევა საკმაო დეტალებს შესაბამისი კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, სექციები 2.4, 2.6, 3.2, 4.1, 4.2, 5.2 და 5.3) და თვითშფასების ანგარიში არ მოიცავს საკმაო მტკიცებულებებს გაკეთებული განცხადებების დასადასტურებლად. თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფის შემადგენლობა წარმოდგენილია ძირითადად უფროსი მენეჯერებით, რაც, ასევე, ძალიან უჩვეულოა. საერთაშორისო გამოცდილება ითვალისწინებს ჯგუფის შედგენას პროგრამის მენეჯმენტში უშუალოდ ჩართული სპეციალისტებით და შიდა დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის) ოფიციალურად მოწვევას. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიში ადეკვატურადაა გაზიარებული დაინტერესებულ მხარეებში და დამტკიცებული შესაბამისი კომიტეტების ან საბჭოს მიერ.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი და ზეგავლენა ნათლადაა შემჩნეული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ხარისხის კულტურა უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ჩანასახოვან სტადიაშია და არსებობს სასწრაფო საჭიროება პროცედურების და ინიციატივების შემუშავებისა, რათა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა გაზიარებულ იქნეს საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა მოსწრებასა და გარიცხვაზე. o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების გაძლიერების საფუძველზე უნივერსიტეტში განვითარდეს ხარისხის კულტურა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შემუშავებულია.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
უსდ რეგულარულად ითვალისწინებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი მიესალმება გარე ხარისხის შეფასებას და იგი გამოიყენება პროგრამის მენეჯერების მიერ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გარე შეფასების შეგროვებისა და გამოყენების მტკიცებულება ვერ მოიპოვა. კერძოდ, 2013 წლის აკრედიტაციის ანგარიში მოიცავს რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც არაა გაანალიზებული თვითშეფასების ანგარიშში. ამის გამო გაუგებარია, გათვალისწინებული იქნა ის რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ თუ არა და თუ კი - როგორ. განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დადებითია გარე გამომცდელების ჩართვა სადოქტორო დისერტაციის შემფასებელ კომიტეტში. ამ წევრების კონსულტაციაც შესაძლებელია პროგრამის ხარისხის თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში. o ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული 2013 წლის აკრედიტაციის ანგარიში. o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტი საჭიროებს ხარისხის პროცედურებში გარე შეფასების სისტემატურ ინტეგრირებას, მათ შორის შესაძლო რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: პროგრამის ხარისხისა და სავარაუდო გაუმჯობესების თაობაზე მიიღეთ ოფიციალური რეკომენდაციები გარე ექსპერტებისაგან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) გარე ხარისხის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესის მტკიცებულება არ არის.
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ სადოქტორო პროგრამა პერიოდულად მოწმდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, თუმცა ვერ იძლევა მკაფიო მტკიცებულებას ამ განაცხადის დასადასტურებლად. მართვის სტრუქტურები, მათ შორის შემადგენლობა, როლი, პასუხისმგენლობები და შეხვედრების სიხშირე, არაა დეტალურად წარმოდგენილი. ამ შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები ვერ იქნა წარმოდგენილი. ინტერვიუების მსვლელობაში, დამტკივდა, რომ მონიტორინგისა და შემოწმებების უმეტესობა წარმოებს არაფორმალურად, პირადი კონტაქტებით ზოგ დაინტერესებულ მხარესთან (სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან). თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები მოითხოვს პროცედურის ფორმალიზებას, პროგრამის კომიტეტისათვის (ან ეკვივალენტურისათვის) უფლებამოსილების მიცემით, რომ ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
- პროგრამის შემოწმების პოლიტიკა ვერ იქნა წარმოდგენილი.

რეკომენდაციები:

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა საჭიროებს სისტემატურ განხორციელებას, ყველა დაინტერესებული მხარის ოფიციალური ჩართულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არცერთი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნევა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინჟინერიის დოქტორი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ფილიპ ბუილარდი, ხელმოწერა



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მანანა მოისწრაფიშვილი, ხელმოწერა